

სახაზინო სამსახურის

ინფორმაცია

საქართველოს 2011 წლის იანვრის თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდევლების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი საღღოს შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2011 წლის იანვრის თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 470 477.7 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 443 435.1 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 5 634.6 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 4 245.8 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით – 17 162.2 ათასი ლარი.

2011 წლის იანვრის თვეში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (443 435.1 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (1 361 411.0 ათასი ლარი) 32.6%-ი;

მათ შორის:

– გადასახდების პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 222 180.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 387 111.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 31.7%;

– გრანტების პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 96 429.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 26 667.1 ათასი ლარი. მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები 25 709.8 ათასი ლარი;

– 911.3 ათასი ლარი ჩაირიცხა ხაზინის ერთიანი ანგარიშზე 2010 წელს დაშვებული ოვერდრაფტის დარჩენილი ნაწილის დასაფარავად.

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 46.0 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში; მათ შორის: “ფრინველის გრიპის კონტროლისა და აღადიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი)” – 18.5 ათასი ლარი; “სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი” – 26.1 ათასი ლარი; „იძულებით გადაადგილებულ პირთა თემის განვითარების პროექტი” – 1.4 ათასი ლარი.

„სხვა შემოსავლების” პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 42 802.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 29 656.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 69.3%.

2011 წლის იანვრის თვეში არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (5 634.6 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო საპროგნოზო მოცულობის (10 000.0 ათასი ლარი) 56.3%.

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (4 245.8 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (6 231.0 ათასი ლარი) 68.1%.

„ვალდებულებების“ ზრდით მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა – 17 162.2 ათასი ლარი, მათ შორის:

– საშინაო ვალდებულებების ზრდით ფაქტიურად მიღებული იქნა – (-1 468.9) ათასი ლარი;

– საგარეო ვალდებულებების ზრდით (საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები) მიღებული იქნა – 18 631.1 ათასი ლარი. მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 8 564.9 ათასი ლარი;

– 1 808.1 ათასი ლარი ჩარიცხა ხაზინის ერთიანი ანგარიშზე 2010 წელს დაშვებული ოვერდრაფტის დარჩენილი ნაწილის დასაფარავად.

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 8 258.1 ათასი ლარი, მათ შორის: „შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი“ – 887.3 ათასი ლარი; „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი – 60.9 ათასი ლარი; “მუნიციპალური განვითარების პროექტი (აზიის განვითარების ბანკის სესხი) – 105.7 ათასი ლარი; ს.ს.ი.პ. „ჯანდაცვისა და სოციალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრი „პირველადი ჯანდაცვის განვითარება“ – 182.4 ათასი ლარი; „მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი – მეორე ფაზა“ – 430.6 ათასი ლარი; „სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი“ – 10.7 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალის მესამე პროექტის კრედიტი – 4 687.4 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალის მეორე პროექტის კრედიტი – 220.2 ათასი ლარი; „ჩოლოქი-სარფის გზის ახალი მიმართულება (ქ. ქობულეთის შემოვლითი გზები)“ კრედიტი – 2.3 ათასი ლარი; „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი მეორე“ – 1 670.6 ათასი ლარი.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 45 704.5 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩარიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებელი სსიპ-ს მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, მოხდება კონვერტირება და ხაზინის ერთიანი ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში, მათ შორის:

საბიუჯეტო ორგანიზაციებზე ღონისძიების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 549.2 ათასი ლარი, რომელიც “სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №1000 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტის შემოსულობებში აისახება “საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ: „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” გრანტი – 175.4 ათასი ლარი; „ვაზიანი-გომბორი-თელავის გზის პროექტი” კრედიტი – 5 499.0 ათასი ლარი; ს.ს.ი.პ. „ჯანდაცვისა და სოციალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრი „პირველადი

ჯანდაცვის განვითარება” კრედიტი – 976.2 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალის პირველი პროექტის კრედიტი – 337.0 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მეორე პროექტის კრედიტი – 1 060.6 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალის მესამე პროექტის კრედიტი – 21 737.4 ათასი ლარი; მდგრადი ურბანული განვითარების საინვესტიციო პროგრამა – 15 369.7 ათასი ლარი.

ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის №1318 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციის თანახმად, ინფორმაცია სახაზინო სამსახურში დონორების მიერ საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი დაფინანსებისა და გაწეული საკასო ხარჯების შესახებ იანვრის თვეში სსიპ-ებს არ წარმოუდგენიათ.

“საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის შემოსულობათა აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2011 წლის იანვრის თვეში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსავლებში, ასევე ხარჯებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები სულ 204.4 ათასი ლარი.

წინა წლების გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნებით მიღებული იქნა 1 548.3 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2011 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 488 175.9 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 478 787.1 ათასი ლარი, ფულადი სახსრები აკრედიტივით ანგარიშსწორებისათვის – 587.5 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად – 8 801.3 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2011 წლის 1 თებერვლისათვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 503 655.1 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 491 137.5 ათასი ლარი, ფულადი სახსრები აკრედიტივით ანგარიშსწორებისათვის – 3 734.0 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად – 8 783.6 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (დაგროვება) შეადგინა 15 479.2 ათასი ლარი.

2011 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში ხაზინის სავალუტო ანგარიშებზე საბიუჯეტო სახსრების სახით რიცხულმა თანხებმა შესაბამისი ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში შეადგინა 404.1 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2011 წლის იანვრის თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 443 435.1 ათასი ლარის მოცულობით, (გეგმა – 1 361 411.0 ათასი ლარი); გადასახდელებმა შეადგინა 382 936.2 ათასი ლარი (გეგმა – 1 388 303.2 ათასი ლარი); საოპერაციო სალდო განისაზღვრა (-26 892.2) ათასი ლარის ოდენობით, შესრულებამ შეადგინა (60 498.9) ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 247 774.4 ათასი ლარით (ფაქტიური შესრულება – 54 971.6 ათასი ლარი). მათ შორის: არაფინანსური აქტივების კლება განისაზღვრა 10 000.0 ათასი ლარით (ფაქტიური შესრულება – 5 634.6 ათასი ლარი); არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 257 774.4 ათასი ლარით, (ფაქტიური შესრულება – 60 606.2 ათასი ლარი).

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (-274 666.6) ათასი ლარის ოდენობით, შესრულება (5 527.3) ათასი ლარით.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 3 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2011 წლის პირველი კვარტლის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 1 702 991.7 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 1 512 644.5 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები – 190 347.1 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის №1318 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციის შესაბამისად ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 947 520.6 ათას ლარზე, მოთხოვნამ შეადგინა 456 891.4 ათასი ლარი, გადახდამ – 456 587.1 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 411 286.4 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 45 300.7 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 48.2%, ხოლო გეგმის 26.8%-ს შეადგენს. საგადახდო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობამ (დავალიანება) შეადგინა 304.3 ათასი ლარი. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2011 წლის იანვრის თვის მთლიან ხარჯებში შეადგინა 90.1%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 9.9%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის №738 ბრძანებით დამტკიცებული “საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე” ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა მათ მიერ მოსალოდნელ ხარჯებზე წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად შედგენილი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმების მიხედვით.

“საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვრის თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია

ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: “შრომის ანაზღაურების” მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2011 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 264 102.8 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 188 707.3 ათას ლარზე, მოთხოვნამ შეადგინა 76 463.0 ათასი ლარი, გადახდამ – 76 456.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 40.5%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 28.9%-ს შეადგენს. საგადახლო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობა (დავალიანება) შეადგენს 6.9 ათას ლარს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2011 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 200 175.5 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 91 152.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ შეადგინა 47 884.0 ათასი ლარი, გადახდამ – 47 749.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 52.4%-ს და საგეგმო მაჩვენებლის – 23.9%-ს შეადგენს. საგადახლო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობამ (დავალიანება) შეადგინა 134.9 ათას ლარი.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2011 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 57 114.2 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 10 536.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 10 536.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ს და გეგმის – 18.4%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 6 042.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (6 042.2 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 4 493.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (4 493.8 ათასი ლარი) 100%-ია.

“სუბსიდიების” მუხლით გასაწევი ხარჯების 2011 წლის პირველი კვარტლის გეგმამ შეადგინა 68 303.7 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 20 956.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ შეადგინა 10 125.0 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 10 122.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 48.3%-ს და გეგმის 14.8%-ს შეადგენს. საგადახლო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობამ (დავალიანება) შეადგინა 2.4 ათასი ლარი.

„გრანტების” მუხლით გასაწევი ხარჯების 2011 წლის პირველი კვარტლის გეგმამ შეადგინა 234 562.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 109 822.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (155 640.6 ათასი ლარი) 70.6%-ს და საგეგმო მაჩვენებლის (234 562.0 ათასი ლარი) 46.8%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2011 წლის იანვრის თვეში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების ბიუჯეტებს ფინანსური დახმარების სახით გადაერიცხათ 107 712.6 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (152 587.6 ათასი ლარი) 70.6%-ია.

„სოციალური უზრუნველყოფის” მუხლით 2011 წლის იანვრის თვეში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 123 833.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (306 712.5 ათასი ლარი) 40.4%-ს და საგეგმო პარამეტრის (376 046.2 ათასი ლარი) 32.9%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად 2011 წლის პირველი კვარტლის გეგმით განესაზღვრა 51 352.4 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 21 781.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 42.4%-ია. საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 80 375.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების – (230 933.5 ათასი ლარი) და გეგმის (230 933.5 ათასი ლარი) 34.8%-ია. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 63

344.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 20 638.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (63 344.6 ათასი ლარი) 32.6% და ვალდებულების (21 527.5 ათასი ლარი) 95.9%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2011 წლის პირველი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 187 998.8 ათასი ლარით, იანვრის თვეში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 93 693.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ შეადგინა 4 577.3 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 4 417.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 4.7%-ს და გეგმის 2.3%-ს შეადგენს. საგადახდო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობამ (დავალიანება) შეადგინა 160.1 ათასი ლარი.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „სხვა ხარჯების“ მუხლით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 725.6 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 87 813.0 ათასი ლარის ვალდებულებები, ხოლო 2011 წლის პირველი კვარტლის გეგმამ შეადგინა 103 434.2 ათასი ლარი. გადახდამ შეადგინა ვალდებულების 0.8% და საგეგმო მაჩვენებლის – 0.7%.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2011 წლის პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 257 774.4 ათასი ლარის ასივნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 66 986.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 60 606.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 90.5%-ს და გეგმის 23.5%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განესაზღვრა 85 952.1 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 39 328.8 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (34 621.4 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 88% და საგეგმო მაჩვენებლის – 40.3%.

„ფინანსური აქტივების ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2011 წლის პირველი კვარტლის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 19 886.0 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 2 635.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 2 635.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ს და გეგმის – 13.3%-ს შეადგენს.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2011 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 37 027.9 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 10 499.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 10 409.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.1%-ს და გეგმის – 28.1%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 4 705.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (4 705.1 ათასი ლარი) 100%-ია.

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 5 704.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (5 794.4 ათასი ლარი) 98.4%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ. ღონისძიების დაფინანსებით განსახორციელებელი ინვესტიციური პროექტების საგეგმო მაჩვენებელს გრანტების კუთხით აღემატებოდა: საქართველოს პარლამენტის პროექტი „ძლიერი პარლამენტი კონსოლიდირებულ დემოკრატიაში (UNDP) (კოდი 01 05 02, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 7.6 ათასი ლარი; საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის პროექტი „დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება სამართლიანი საარჩევნო პროცესებისა და აქტიური სამოქალაქო მონაწილეობისათვის“ (კოდი 06 05 01, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 33.1 ათასი ლარი; საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროექტი: ადგილობრივი მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა (კოდი 25 07 02, მუხლი „სუბსიდიები“) – 0.9 ათასი ლარი; საქართველოს

ენერგეტიკის სამინისტროს პროექტები; „რეგიონალური ელექტროქსელის რეაბილიტაცია – პროექტი პირველი (ალავერდი) (კოდი 36 04 02, მუხლი „ფინანსური აქტივების ზრდა“) – 113.0 ათასი ლარი; „ელექტრომომარაგების სექტორის პროგრამა“ (კოდი 36 04 03, მუხლი „ფინანსური აქტივების ზრდა“) – 30.3 ათასი ლარი; შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს პროექტი “**DOTS** სტრატეგიის სრულყოფა საქართველოში“ (კოდი 35 16 01 01, მუხლი „სუბსიდიები“ – 491.2 ათასი ლარი; მუხლი „არაფინანსური აქტივები“ – 1 119.3 ათასი ლარი); საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტი „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი“ (კოდი 32 17 01, მუხლი „სუბსიდიები“) – 308.3 ათასი ლარი.

ზემოთაღნიშნული პროექტების ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, რომელთა ათვისება ხორციელდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, მომავალში მისაღები გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე („რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი – მეორე ფაზა“) შეადგინა 2 452.1 ათასი ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის №92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2011 წლის 1 თებერვლისათვის შეადგინა 29.5 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი სამინისტროების საკასო ხარჯებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2011 წლის იანვრის თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 443 542.3 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 147 986.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (443 575.8 ათასი ლარი) 33.4%-ია. აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის და საგარეო ურთიერთობის ხარჯების დაფინანსების – 20 738.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (114 484.5 ათასი ლარი) 18.1% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 14%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 10 536.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (57 412.6 ათასი ლარი) 18.3% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 7.1%; საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების დაფინანსებამ მთავრობის სხვადასხვა ღონეებს შორის შეადგინა 107 225.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (229 620.0 ათასი ლარი) 46.7%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში შეადგინა 1 026.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (3 516.3 ათასი ლარი) 29.2%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2011 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 159 969.7 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 42 275.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 26.4%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 9.5%-ი.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2011 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 183 870.5 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა

შეადგინა 46 181.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 25.1%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.4%; აღნიშნულ ხარჯებში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში შეადგინა 3 405.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (8 955.6 ათასი ლარი) 38%-ია; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 33 627.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (135 162.2 ათასი ლარი) 24.9%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (4 090.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (17 052.7 ათასი ლარი) 24%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 5 057.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (22 700.0 ათასი ლარი) 22.3%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2011 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 228 743.7 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 57 738.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 25.2%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (9 967.1 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (14 525.0 ათასი ლარი) 68.6%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (2 033.6 ათასი ლარი), გეგმის (18 908.6 ათასი ლარი) 10.8% შეადგინა; სათბობისა და ენერგეტიკის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 2 525.6 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 95.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 3.8%-ია; მათ შორის: ნავთობისა და ბუნებრივი აირის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 27.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (125.6 ათასი ლარი) 21.9%; ელექტროენერგეტიკის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 1 800.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 68.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 3.8%. ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 106 914.8 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა (35 135.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 32.9%; ეკონომიკის სხვა დარგების ხარჯების (8 683.7 ათასი ლარი) დაფინანსებამ შეადგინა საგეგმო მაჩვენებლის (75 590.2 ათასი ლარი) 11.5%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა ეკონომიკის სფეროში შეადგინა 1 389.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (7 634.1 ათასი ლარი) 18.2%-ია.

გარემოს დაცვის ხაზით 2011 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 5 341.1 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 766.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 14.3%; გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 990.2 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა კი შეადგინა 198.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 20.1%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დასაფინანსებლად გარემოს დაცვის სფეროში განსაზღვრულია 2 247.9 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (400.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 17.8%.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2011 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 108 113.9 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 24 868.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 23%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 5.6%-ი; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 4 400.0 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (1 883.3 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 42.8%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (6 304.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (17 083.4 ათასი ლარი) 36.9%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 4 986.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (16 347.4 ათასი ლარი) 30.5%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის

სფეროში დაფინანსდა 11 693.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (69 144.3 ათასი ლარი) 16.9%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 8 907.7 ათასი ლარით, რაც 2011 წლის პირველი კვარტლის გეგმიური მაჩვენებლის – 28 776.8 ათასი ლარის 30.9%-ს შეადგენს. დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების ხარჯებმა (2 273.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (7 754.8 ათასი ლარი) 29.3%; კულტურის სფეროში მომსახურების ხარჯებმა (3 569.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (12 095.1 ათასი ლარი) 29.5%; ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრულია 7 742.9 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (2 700.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 34.9%; რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 363.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 184.0 ათასი ლარი) 30.7%-ია.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად 2011 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 138 071.4 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 6 449.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 4.7% და სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 1.5%-ი; აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი: ზოგადი განათლების დაფინანსების – 219.7 ათასი ლარი, რომელმაც შეადგინა გეგმის (92 886.5 ათასი ლარი) 0.2%; უმაღლესი განათლების დაფინანსების – 1 060.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (18 920.4 ათასი ლარი) 5.6%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები განათლების სფეროში დაფინანსდა 3 353.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (14 388.7 ათასი ლარი) 23.3%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით 2011 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 334 764.8 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 108 367.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 32.4%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 24.4%-ი. ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 457.9 ათასი ლარი, ანუ საგეგმო მაჩვენებლის (2 801.5 ათასი ლარი) 16.3%; ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 234 910.1 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 81 565.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის 34.7%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 22 245.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (58 378.9 ათასი ლარი) 38.1%-ია; სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას დაფინანსდა 2 281.2 ათასი ლარით, რომელმაც შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის (28 861.6 ათასი ლარი) 7.9%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობისათვის გაწეულმა ხარჯებმა სოციალური დაცვის სფეროში შეადგინა 1 667.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (9 662.7 ათასი ლარი) 17.3%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 21 შემთხვევაში შეადგინა 3 158.9 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 2 960.2 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებული თანხების მოცულობამ 2011 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით შეადგინა 198.7 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 5 შემთხვევაში შეადგინა 9 973.7 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 9 716.0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2011 წლის პირველი თებერვლისათვის აუთვისებული თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 257.7 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარად „ვალდებულებების კლების“ მუხლით გამოყოფილი იქნა 8 174.6 ათასი ლარის ასიგნება. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 6 151.0 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 5 699.2 ათასი ლარი. „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2 000.0 ათასი ლარი. „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დასაფარავად ორგანიზაციებს გამოეყო 23.6 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 5.3 ათასი ლარი.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების მაჩვენებლები შემდეგია: საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად მიიძღარა 5 699.2 ათასი ლარი (გეგმა – 6 000.0 ათასი ლარი); საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის დასაფინანსებლად მიიძღარა 2.9 ათასი ლარი (გეგმა – 2.9 ათასი ლარი); საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის დასაფინანსებლად მიიძღარა 2.4 ათასი ლარი (გეგმა – 2.4 ათასი ლარი).

2011 წლის იანვრის თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.